შინაური საქმეები

ᲣᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

№ 11.

ᲥᲕᲘᲠᲐ, ᲛᲐᲠᲢᲘ 15, 1909 Წ.

ᲤᲡᲘᲐ ᲬᲚᲘᲣᲠᲐᲗ — — 4 ᲛᲐᲜ.

ᲜᲐᲮᲕᲬᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲗ — 2½ ᲛᲐᲜ.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ 10 ᲙᲐᲞᲔᲘᲙᲐᲗ.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ „ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: ცხოვრების გაკვეთილები—ალექსი ბერისა; რამდენიმე შენიშვნა ადგილ-მონაზონ სერგის წერილზე—კინკილეთელისა; ოას ჩავდივართ?—იკერიელისა; ილია ბავშვაძე—ბომლელისა; შინაურ საქმეები (ლექსი)—იმერელისა; შედიატორების განცხადება: აკაკი წერეთელი—მღვ. მ. კელენჯერიძისა; ესდება იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელ ძმობისა წმიდის მთავარ მოწამის, ძლევაშემოსილისა და საკვირველ მოქმედისა გიორგისა.

ᲣᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗ

„ᲨᲘᲜᲐᲣᲠ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კაზაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2½ მან. ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

დარჩენილი ნომრები ახალ ხელის მომწერლებს დაეთმობა 1 მან. და 50 კაპ.

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ.*)

დიდი გაფრთხილება სჭირდება ადამიანს აღტაცების წამებში. მრავალი იმსხვერპლა ამ აღტაცებამ გაუგებრობით და უკანასკნელ სინანულით დააგმობინა აღტაცების ოცნება. არის აღტაცება ხანდისხან თვით შინაგან სულის აღფრთოვანებით, ხან წინაალმდეგ ამისა სულის უბოძო მწუხარეობის გამო განწირულების დასკვნით და ხან გარეშე პირთა მიერ ცეცხლ მოტყინარე სიტყვების სმენით. ასე რომ უზოთავმოყვარეობა, არსებითი მიზეზის შედეგის აუწონლად გულის წამ ღელვა აღიტაცებს ადამიანს და შეტო

აუწერელ შინაარსის მჭუნვარებით დაღვრემილი, მწარე ფიქრებში დანთქმული გულის სილრმის გეენით ობრავს. ამ დროს სცნობს საცოდავი ადამიანი თავის უძლურებას, თავის ბუნების ულონოებას—სისაწყლეს და მსოფლიო სიყალბეს. სწორეთ ეს დრო არის უმაღლესი სასწავლებელი თავის ცნობისა და ამაშია უმეშმარიტესი სწავლა ადამიანობისა.

სიყვარული რავდენად მაღალია იმდენად, იმდენად საშიშია. და საკრძალავი, რათა უძვირეს მტრობად არ გარდაიქცეს სიძულილის უფსკრულში შთავარდნით. სიყვარულმა არ იცის დაფარვა საიდუმლოისა და გულის კარს ღია ყოფს საყვარელ მეგობრის წინაშე, რომლითა მრავალთა შორის მოხდება განსყიდულ იქმნას იგი იუდასებრ გაცემითა. სიყვარულის მონაო, ატარე ჯიბით ბარძიმი ნაღვლისა, სასმელი სიყვარულისა!

ოჰ, ძლიერთა ამპარტავანებავ ბოროტო! როგორ შთაგინთქავს სოფელი, როგორ შეგიჯაჭვია საცოდავად მართალნი, მდაბალნი და საწყალნი! რას ხედავ! რა უსამართლობის უძღებებით გასუქებულან ძლიერნი! თუნდაც სულ იყვირე სიმართლე და გმე მათი სიბოროტე, მერე რა? ამით შენ გაებმები მახეში და ისინი უსამართლობის საყდარზე ძალ-მომრეობის ყავარჯენით განისვენებენ. ასეთი ულონოების სიმონავეში უნდა დალიო შენი დღენი და ყოველი ღელვა სიმართლისათვის და უსამართლო ამპარტავანთა უწყალოება უნდა ჩაიკლა გულში.

სიმართლეე! ვინც შენ მიგენდევით და ვესურვეთ შენ ფრთთა ქვეშ განსვენება და გვწყურიან ვიხილოთ შენი აღდგომა, სულ ყველას წყალობად მოგვაგებე ნაღველი და ჯვარცმა. მაგრამ ჩვენ მაინც არ გშორდებით, რადგან სიმართლის ბოლო ვიცით აღდგომაა!

ნამუსო სულის დედოფალო, სულის შეენიერებავ, სულის მაღალ ტახტო! ნამუსო ადამიანის სულიერო დიდებაო, პატიოსნების გოდოლო, ქალწულების ლამპარო, მეუღლეთა სიწმიდის დამცველო, ყმაწვილთა ხნეობრივად განმანათლებელო! ნამუსო პირნათელო, სახელგაუტეხლობით ადამიანის აღმზრდელო და მფარველო, ღვთის მადლის ნაპერწკალო!

ნამუსო კაცობრიობის ძვირფას ხარისხო და სანატრელ თვისებებით ზნეობის განმაკეთილშობილებელო!

დიდად საშიშარი და საძნელო გზა უძევს ახდილი წრფელ ადამიანს ამ 'გულლვარძლიან მზაკვარებით აღსავსე წუთი სოფლის ცხოვრებაში. წრფელის გული ღიაა ყველასათვის ამოსაკითხავად, რომლითა წრფელი ვარდება საფრხეში. არა წრფელთა გული კი ზედაპირს ოდენ აფერადებს, ვითარცა დასჭირდება, ხოლო სიღრმეში მალავს სიხენეშეს, სიყალბეს და უკეთურებას. შეუძლებელია ამ ორთა შორის თვისება, რადგანაც დიდი დანახეთქია მათ შორის, და ნუ უკვე ამისთვის იტყოდა წინასწარმეტყველი, დრკუსა მისგან განეშორეო.

ვინც რითაც დასჯილია და რაზედაც უწუხს გული ხშირად მაზედ აქვს ლაპარაკი და რადგან ჩემთვის უძვირფასეს ლტოლვილებას შეადგენს შინაგანი მშვიდობა და თავისუფლება, ამისთვის ტანჯული გული უფრო ამაზედ ლაპარაკობს და ან რა უნდა ქონდეს უძვირფასესად საზრუნავი საქმე, ვითარ სიწმიდე გულისა, სისპეტაკე აზროვნებისა, ვნებათაგან განთავისუფლება გონებისა და სუფევა სულისა. აი ჩემი სატრფო იდეა, ჩემი გულის ჭლექი, ჩემი სიყრმიდან შეყვარებული დედოფალი—დედა ნათელ უფლებისა. ამას შევწირე ჩემი სიყმაწვილე, ჩემი სინორჩე და მთელი ჩემი საწუთო ხორციელი უფლება, რომ მღირსებოდა სისრულით მისი სხივ-მფენელი ნათლის ტაძრობა, მაგრამ ვაი რომ ვერ ველირსე საწადელს. სული ჩემი ისევ განუსვენებელ მწუხარებაშია, რამეთუ რა იგი მოსიან აქ სიცოცხლეში სულსა ჩემსა მით აღვსდგები,—და აჰა დღე უფლისა ახლო არს ჩემთვის...

ჩემო სიცოცხლის მიზეზო, მამაო არსებისა ჩემისაო! დასჯილი შვილი მძიმე ცოდვებით დატვირთული და დაღონებული, შენ გიგონებ, შენ გიწოდ, შენლამი ალვიხედავ, შენ უფალო, მხოლოდ შენ! სხვა არავინ არის ჩემი გულის ტანჯვათა მკურნალი, მხსნელი და

ნუგეშინის მცემელი. გეძებს ტანჯული გული. მოიხილე სახიერო და მიხსენ ვითარცა გნებავს და ვითარცა უწყი ჩემი სულის უმჯობესი, რამეთუ სულით და ხორცით დავრდომილ ვარ მე, და თიხა განწმედად თავისა თვისისა ვერ შემძლებელ არს. გარეშე შენის ნათლის ეზოისა განვარდნილი ვგონებ ჩემს სიცოცხლეს, მომლოდინე თუ როდის იელვებს შენი მოხედვა ჩემზედ.

ალექსი ბერი,

(შემდეგი იქნება).

რამდენიმე შენიშვნა მღვდელ-მონაზონ სერგის წერილზე *).

ტფილისის სემინარიის ყოფილმა ინსპექტორმა მღვდელმონაზონმა სერგიმ ვრცელი წერილი უძღვნა საქართველოს ეკლესიის აწმყო მდგომარეობას და შეეხო იმ არსებით საკითხებს, რომლებშიც დროთა ვითარებამ აღძრა ამ უკანასკნელ ხანებში და რომლებმაც არა ერთი და ორი მკაცრი ზომები გამოიწვია მოთავე ეკლესიის მხრით. გვეგონა ყველა ის შეხედულება, რაც მ. სერგიმ გაატარა თავის წერილში მის გულითად რწმენას, მის idtee fix-ს შეადგენდა, მაგრამ ბოლოს მან უარჰყო ყველა თავის ამ წერილში გამოთქმული აზრები და საქვეყნოდ აღიარა, რომ ეს წერილი არ შეადგენს მის გულწრფელ აღსარებას, არამედ იგია ნაყოფი ძალდატანებისა, „რომელზედაც ლაპარაკი უადგილოა გაზეთში.“ ამის შემდეგ ჩვენ აღარაფერი გვეთქმის მ. სერგის თაობაზე მის მეტი, რომ ხოტბა შევასხათ მის მოქალაქობრივ გამბედაობას, მის ქრისტიანულ ქცევას, რომ საქვეყნოდ აღიარა თვისი შენაცოდები. გარნა წერილის შეუნიშნავად დატოვება, მისი მიყრუჩუნება, როგორც ამბობენ ხალხში, არ გვეპატიება, რადგან ის შეხედულება, რომელიც გატარებულია წერილში საქართველოს ავტოკეფალობაზე, საზოგადო შეხედულებაა უმეტესობისა, საზოგადო აზრია რუსეთის ეკლესიის მმართველ-გამგეებისა, რომელთაგან ბევრი სრულიად ვერ იცნობს ვერც საქართველოს და ვერც მის ეკლესიას, ხოლო უმეტესი ნაწილი მეცნიერებისა მტრულად უყურებს ორივეს. ეს უკანასკნელნი ის ვაჟბატონები გახლავან, რომლებიც სარწმუნოებას პოლიტიკას ანაცვალებენ, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, სარწმუნოებას პოლიტიკურ ანგარიშებით უყურებენ, რომელთაც დავიწყებიათ, რომ არც ქრისტე და არც მისი მოციქულები პოლიტიკური აგენტები არ ყოფილან; ისინი მხოლოდ „ეძიებდენ სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა.“ მაგრამ ამაზე შემდეგ...

აქამდის ავიღებდით ხელში ჩვენ სუსტ კალამს და პასუხს გავცემდით მ. სერგის, მაგრამ ველოდით, რომ ვინმე ჩვენი მსწავლულთაგანი უფრო არსებითად და შესაფერად უპასუხებდა, მაგრამ „სად არიან ბრძენნი ამა სოფლისანი?“ „კურთხეულ იყოს სახელი ღვთისა, რომელმან დაფარა ესე ყოველი ბრძენთაგან და მისცა სულელთა!“ ჰგავს ისევ მეთევზეებმა უნდა ჰქადაგონ და სწამონ ეშმარიტება და არა მეცნიერებმა, რომელნი დაიპყრნა ზრუნვამან ამა სოფლისამან.

პირველი შემცდარი აზრი, რომელსაც იკავს მ. სერგის წერილი და მთელი გუნდი საქართველოს ავტოკეფალობის მტრებისა — არის დებულება, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობას პოლიტიკური ნიადაგი აქვს, რომ იგი აღმოცენებულია საქართველოს პოლიტიკურად განთავისუფლების სურვილზე, რომ ავტოკეფალია, წინამორბედია ავტონომიისა და, ზოგიერთების აზრით, საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა რუსეთის იმპერიისაგან, რომ თავდადებულ ქართველ ავტოკეფალისტებს სარწმუნოების განდიდება კი არ აცხელებსთ, არამედ პოლიტიკურად თავისუფალი საქართველო.

მელას, რაც აგონდებოდა, ის ესიზრმებოდაო. სწორეთ ასე მოსდით ჩვენ ანაფორიან პოლიტიკ-დიპლომატებს, თორემ ამ დებულების უსუსურობა თავის თავად ცხადია. ამას ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობის მტრები, ისი-

*) იხ. „შინ. საქ.“ №№ 3, 4, 6, და 7.)

ნი მაინც, რომლებიც ერთხელ მაინც ყოფილან საქართველოში, ცხადად ხედავენ; მაგრამ მაინც საფრთხობელასავით ხელში უკავიათ და ვისაც კი ავტოკეფალობის მომხრეობას შეატყობენ, პირში ჩრიან, „იხილე, რამეთუ ნაზარეთით არა აღდგომილ არს წინასწარმეტყველიო,“ გაიგეთ, რომ ავტოკეფალობა მოგონილია პოლიტიკურ დამოუკიდებლობის შესაქმნელადო. ესენიც იძულებული ხდებიან დაუჯერონ მათ, რადგან დაახლოებით არ იციან საქმის ვითარება და ამნაირად თითქმის მთელი რუსეთი პოლიტიკურ დამნაშავეთა ბუდეთ უყურებს საქართველოს ეკლესიას. ჩვენ საქმე არა გვაქვს ჩვენი ეკლესიის მტრებთან; იმათ უჩვენოდაც კარკათ იციან რაშია საქმე, მაგრამ მტერი რისი მტერია თუ ცილი არ დაგწამა, თუ არ დაგაბეზღა, თუ მტერი არ გაგიჩინა. ჩვენ ვაფასებთ რუსეთის ფართე საზოგადოების აზრს და ამიტომ ვეცდებით დავაჯეროთ, რომ ეკლესიურ ავტოკეფალობას სრულიად აზრად არა აქვს საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ეს მტკიცდება, როგორც ისტორიულად, ისე თანამედროვე ფაქტებითაც. გადაავლეთ თვალი საქართველოს ეკლესიურ ცხოვრების მიმდინარეობას დღიდგან რუსეთთან შეერთებისა და დაგვიმტკიცეთ, გვიჩვენეთ თუნდ ერთი შემთხვევა, რომელიც ამტკიცებდეს საქართველოს სამღვდელოების სეპარატისტობას. წინაამდეგ, საქართველოს სამღვდელოება ყოველთვის რუსეთის ტახტის ერთგული ყოფილა და ერთ წამსაც არ დაფიქრებულა პოლიტიკურ თავისუფლებაზე, მით უფრო არ გაუვრცელებია ხალხში ეს აზრი; წინაამდეგ შემთხვევაში ხალხშიდაც არ იქნებოდა ის ერთგულება ტახტისადმი, რომელიც არა ერთი და ორი მაგალითით დაამტკიცა, სისხლით ალბექდა ქართველმა ერმა. ცხადათ მაქვს წარმოდგენილი განსვენებულ ხელმწიფე იმპ. ალექსანდრე III ჩამობრძანება საქართველოში და განსაკუთრებით იმერეთში. მიუხედავად იმისა, რომ სხვა და სხვა საშიშროებას უხატავდენ საქართველოში, გმირი მეფე ერთ წამსაც არ შემდგარა და ეჭვი არ შეპარვია ქართველთა ერთგულებაში, და იგი არ მოტყუებულა. ის აღტაცებული შეხვედრა, ის დაუვიწყარი გრძნობიერი სიტყვები, რომლებითაც მას მიეგებენ სასულიერო და საერო წარმომადგენლები სხვა და სხვა ადგილას და სხვა და სხვა შემთხვევით, სრული თავდებია იმისა, რომ საქართველოს და განსაკუთრებით მის სამღვდელოებას აზრადაც არ ჰქონია პოლიტიკური თავისუფლება. წაიკითხეთ ყოვლად სამღვდელო გაბრიელის გრძნობიერი სიტყვა ამ შემთხვევის გამო და მაშინ სთქვით, ქართველი სამღვდელოება სეპარატისტულ აზრების მატარებელი და მაქადაგებელიაო. ასეთ დასკვნას ვერ გამოიყვანს ვერც ვოსტორგოვის ურცხვი დიალექტიკა.

მაგრამ შეიძლება ქართველი სამღვდელოება მას შემდეგ გასეპარატისტდა? მართალია რუსეთის მტერ-მოყვრე პატრიოტები ბევრ საბუთს იძლეოდენ გასეპარატისტებისას, მაგრამ მაინც ქართველ სამღვდელოებას არ მიუღია ასეთი მიმართულება. ამას ცხადად ამტკიცებს იმერეთის სამღვდელოების პეტიცია. ამ შესანიშნავ აქტის შემუშავების დროს კრებაზე აზრი გამოითქვა, ვაი თუ მართებლობამ ავტოკეფალობა სეპარატისტობად ჩამოგვართვასო და ამისთვის საჭიროდ სცნო შეეტანა მუხლი, რომ საქართველო პოლიტიკურად რუსეთის ერთობში უნდა დარჩესო. ეს გარემოება, მგონი, მისი მაჩვენებელია, რომ ქართველ სამღვდელოება უბრალოა სეპარატისტობაში.

ჩვენ კიდევ შორს წავალთ და ვიტყვით, რომ სეპარატისტულ მიმართულებას დღეს არც საერო საზოგადოება ადგია, თუმცა თანამედროვე ცხოვრება ბევრ საბუთს იძლევა—ასეთი მიმართულების გასაღვიძებლად და გასაძლიერებლად. შეიძლება ვინმე გვიჩვენოს ისეთი პარტია, რომელსაც ეკავოს ასეთი მიმართულება, მაგრამ ეს პარტია იქნება და არა მთელი ერი, ეს პარტიის აზრი იქნება და არა ერის გამორჩეული გზა. შიგნი რუსეთში ათას ნაირი პარტია არსებობს და მათ შორის სოციალ-დემოკრატიულიც, რომელიც მოითხოვს ეკლესიის მოსპობას და სოციალურ რესპუბლიკას, მაგრამ განა შეიძლება ითქვას, რომ მთელი რუ-

სის ერი ამ მიმართულებას ადგიაო? ეს ხომ აბსურდია!?....

საქართველოს სამღვდელოების სეპარატისტული მიმართულება მოგონილია სულმდაბალ კარიერისტებისაგან, რომლებსაც ღონე არ შესწევთ თავის პატიოსანი შრომით გიკვლიან გზა ორდენებისა, სახელისა და დიდებისაკენ. თუ არ არის დაგვიმტკიცონ წინააღმდეგი და ჩვენც დაუსახელებთ იმ გეროსტრატებს, რომლებსაც თავის კარიერის შექმნის გულისთვის დასწვეს ტაძარი რუსეთის და საქართველოს ეკკლესიების ერთობისა და ძმური სიყვარულისა.....

კინკილეთელი.

რას ჩავდივართ?

(გაგრძელება*)

I.

Давайте народу общее человѣческое, и смотрите, что онъ способенъ принять, чего не достаетъ ему? Вотъ это угадайте!

Станкевичъ.

Мы не должны составлять себѣ сужденія ни о какомъ предметѣ, котораго мы не понимаемъ со всею ясностью и отчетливостью.

Бокль.

სტანკევიჩი რომ სოგრატ ფილოსოფოსს ამოვუყენოთ გვერდით ეს დიდი შეცდომა იქნება; ამას თვით სტანკევიჩი არ ინებებდა და არც მადლობას გვეტყოდა. მხოლოდ სტანკევიჩს თავის დროს დიდი გავლენა ჰქონდა, როგორც ნამდვილ ადამიანს და კეთილ მოღვაწეს. იგი იყო ღრმად განათლებული კაცი, მას სწამდა და უყვარდა რუსეთის ერი ჭეშმარიტ, ნამდვილ მამულიშვილურ სიყვარულით და, როგორც ასეთს, გამართული ჰქონდა წრე, სადაც თავს იყრიდნენ თანამედროვე ლიტერატორნი და მსჯელობდენ, ფიქრობდენ რუსეთის წარმატებაზე.—რა ეშავრება რუსეთის ერს, როგორ გზას უნდა დაადგეს იგი, რითი შეიძლება მისი წარმატება, რას შეითვისებს იგი? ეი კითხვები, რომლებიც სწყდებოდა ამ წრეში. თუ ვინმე ახალგაზდა მწერალი გამოჩნდებოდა, ადგილი ჰქონდა სტანკევიჩის წრეში; თურმე, როგორც ამბობს ცნობილი კრიტიკოსი დობროლიუბოვი, თვით ბელინსკიც კი სარგებლობდა სტანკევიჩის მაღალი გონებით, მისი საკვირველი ერუდიციით და ცხოვრების გათვალისწინებით; თურმე ბელინსკის ნაწერებში ბევრგან არის ჩართული სტანკევიჩის მოსაზრებანი და რწმენანი, რომელნიც, თუმცა სტანკევიჩმა ვერ გამოსთქვა წერილობით, სამაგიეროთ ბელინსკიმ რიხიანად ამცნო საზოგადოებას და ამ სახით სტანკევიჩმა მაინც დიდი სამსახური გაუწია თავის ერს. სტანკევიჩი იყო ინიციატორი იმ ცენტრისა, საიდგანაც იბნეოდა განმაცხოველებელი იდეები მთელს რუსეთში. ამას გარდა იგი იყო პირდაპირი, შეუპოვარი მთქმელი, თავის ნაკლულევანებათა გამომააშკარავებელი, რასაც დიდი გავლენა ჰქონდა არსებულს წრეზე. ყოველმა მოღვაწემ ჩახედოს თავის გულს, თუ რამ ნაკლულევანება აქვს შეავსოს, მოამზადოს თავი მსახურებისათვის და ისე გამოვიდეს სამოღვაწეო მოედანზეო. და მართალიც არის. ყოველი პატიოსანი მუშაკი ასე უნდა მოქმედებდეს; ზნეობრივ თანდათანობითი წარმატებით პირდაპირობას უნდა იძენდეს, რომ ყოველ საზოგადოების შავნებელ მოვლენას, თუ პიროვნებას წინააღუდგეს საკვირველ თავგანწირულობით და არ იხრებოდეს წელში იმისდა მიხედვით, თუ რა სარგებლობას გამოელის ვისგანმე. ასეთი იყო სწორეთ სტანკევიჩიც.

გვქონდა თუ არა ქართველებს ასეთი წრე, არსებობდა თუ არა ჩვენში ასეთი ცენტრი აზროვნებისა, საიდგანაც ეფინებოდა ქართველებს საუკეთესო რწმენანი?—დიახ, გვქონდა და მეთაური ამ წრისა იყო განსვენებული ილია ჭავჭავაძე. იგი იყო მთავარი სარდალი ქართულ აზროვნებისა; მან შეჰქმნა რამოდენიმე თაობა; იგი იყო თავგამეტებული მებრძოლი შინაურ და გარეულ მტრებთან; იგი იყო მა-

*) იხ. „შინაური საქმ." № 10.

მათმთავარი ყოველ ქართველ დაწესებულებისა, მამათმთავარი, რომლის გარშემო იკრიბებოდა ქართველი მოაზროვნე მოღვაწეები. იგი იყო მეთაური იმ წრისა, რომელიც დარაჯად უდგა ქართველ ეროვნებას, ერის ზნეობას და აზროვნებას. ამ წრეში იყრიდა თავს მთავარი ძალები საქართველოსი და მოზარდი თაობაც მას ახსენებდა, მითი ამაყობდა და მისი მიხედვით მოსწავლეებშიაც კი იმართებოდა წრეები. ილია, როგორც სტანკევიჩი, აკვირდებოდა ახალ მოვლენებს ლიტერატურაში, ახალისებდა ნიჭიერ მწერლებს და გამოჰყავდა სამოღვაწეო სარბიელზე. როგორც სტანკევიჩმა კალცოვი, ისე ილიამ ი. დავითაშვილი გამოიყვანა მწერლად, რომელსაც სიკვდილის შემდეგ მიმართა ამ სიტყვებით: „გვყავს და არ ვაფასებთ, დავკარგავთ და ვსტირით.“ წაახალისა ვაჟა-ფშაველა, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი უკავია ეხლა ჩვენს ლიტერატურაში; დარაჯათ უდგა ქართული ენის სიმშვენიერეს და ერის მაღალ ზნეობას...

აქ ჩვენ ვლაპარაკობთ ილიას კაცურ-კაცობაზე, ადამიანობაზე; ხოლო რაც შეეხება მის მწერლობას, ეს ხომ მეტია და მიუწდომელი ჩვენი უძლური კალმისათვის.

დიახ, ყოველ მოვლენას, ყოველ მოქმედებას მეთაური უნდა. კეთილნი რწმენანი და მისწრაფებანი ყოველთვის იპოებიან საზოგადოებაში, თუ კი საზოგადოებას ნიშან-წყალი აქვს სიცოცხლისა; მხოლოდ ეს რწმენანი და მისწრაფებანი უჩინრად არიან ვაფ ნტულნი საზოგადოების ორგანიზმის სხვა და სხვა ნაწილებში; თითქმის ყოველი წევრი საზოგადოებისა გრძნობს ლტოლვილებას სიკეთისა და წინსვლისადმი, მაგრამ ეს ლტოლვილებანი და მისწრაფებანი დაფარულად რჩებიან მანამდე სანამ არ მოევლინება ყოველივე ამაების გამომხატველი და განმახორციელებელი მეთაური, გმირი, რომელიც თვალსაჩინოდ ჰყოფს იმ საიდუმლოებით მოცულ კეთილ ინსტიკტებს, რომელნიც იმალებოდნენ საზოგადოებაში და ელოდნენ წარმოშობას სწორეთ ისე, როგორც დედის გვამში შთასახული ყმაწვილი.

წარსულ საუკუნის მესამოცე წლებამდე შემზადებულს მისწრაფებებს გაუჩნდნენ განმახორციელებელნი და თვალსაჩინოდ გამომხატველნი; ასეთები იყვნენ: ილია, აკაკი, გაბრიელ ეპისკოპოსი და მათი სკოლა. შემდეგ, და უმეტესად ახლო წარსულში, ცხოვრება ამოძრავდა, ახალი პირობები წამოაყენა, ახალს გზას ითხოვდა, ახალი გარემოებების შექმნას მიაპყრო თვალები... გამოჩნდენ თუ არა ისეთი მეთაურნი და გმირნი, რომელთაც შეგნებულად უნდა აეღოთ ალღო ახალი ცხოვრებისა, ღრმად დაჰკვირვებოდნენ ხალხის ცხოვრებას, ჩაეხედათ მის სულში, შეესწავლათ მისი ფსიხოლოგია და შეგნებული და დაკვირვებული ნაბიჯით გასძღოლოდნენ ერს სანეტარო და სასურველ მომავლისაკენ?—გადაჭრით შეიძლება სთქვას კაცმა „არა“, რომლის საბუთებს იძლევა თვით დღევანდელი გარემოება და საქციელი ზოგიერთებისა

წინათ, ძველს რომსა და საბერძნეთში, ახალი მოძრაობის მეთაურებად გამოდიოდნენ შესანიშნავი სარდლები, რომელნიც თავიანთ გმირულ მოქმედებით შეანძრევდნენ ხოლმე მოდუნებულ ცხოვრებას და საბედისწერო მრძოლის შემდეგ ჰქმნიდნენ ახალს მიმართულებას ცხოვრებაში. და მაშინ ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც იმ გარემოებაში გაზეთების და ჟურნალების საშვალებით აზრების გაცვლა-გამოცვლა და კამათი შეუძლებელი იყო. დღეს კი სულ სხვას ვხედავთ. დღეს შეიძლება კეთილშობილურად, დაკვირვებულ მოსაზრებით ამცნო სამართალი და უსამართლობა მთელ კაცობრიობას. ეს უფრო პატიოსანი და კულტურული იარაღია, ცხოვრებაში საბრძოლველად, და ამ გზას უნდა ვადგეთ ჩვენც. მაგრამ ეს იარაღი, ჩვენ მიერ დღეს ხმარებული, ემსახურება თუ არა საზოგადოებას? ხალხის ნამდვილ მისწრაფებათა გამომხატველია? ხალხის ზნეობრივად და გონებრივად ამაღლება დაუსახავს მიზნად თუ არა?—არა. და ეს არის იმის მიზეზი, რომ ჩვენში ყოველივე არეულ-დარეულია. ჩვენებურმა მოძრაობამ იმ თავითვე მიზნად დაისახა მთელი ერის პარტიებად დაქუცმაცება, ერთის მეორეზე მისიანება და უზნეობის, ულმთოების ქადაგება ხალხში, თით-

ქოს ეს იყო და იყოს მოთხოვნილება და მისწრაფება ქართველი ერისა. ეს ასე არ არის, და რომ საუბედუროთ ასეთი ყოფილიყო ჩვენი ერის მისწრაფებანი, მაშინ მშიდობით! მას, როგორც მომაკვდავს, არავითარი ჭირისუფლობა არ არგებდა, იგი მოკვდებოდა და ჩვენც თავისუფალი დავრჩებოდით!!

ივერიელი.

(შემდეგი იქნება)

ილია ჭავჭავაძე,)

როგორც დიდაქტიკი—პოეტი.

(27 ივნ. 1837—30 აგვ. 1907 წ.)

„ნეტა, ვინც კარგის საქმით
ალნიშნავს თავის დროსა,
ის იქავ ეწაფება
უკვდავების წყაროსა!...“

ილია ჭავჭავაძე.

(დასასრული*).

დამრჩა პოემა „ბანდეგალი“, რომელიც ბევრს ნიჭიერს მწერალს ჩვენში—არკვიცი კი რად—ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გვიორგვინათ მიაჩნია. ერთს ჩემს სტატიაში: „ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო“ („კვალი“ № 8, 1897 წ.) მე ვწერდი: „ახალმა ისტორიამ იცის ისეთი მოაზრეანიც, რომელნიც თვით ადამიანის მთელ არსებას შეაზე ეოფდენ და ამ ორ სხვა და სხვა, ერთი მეორეს წინააღმდეგ, ელემენტებს შორის ატეხილ ბრძოლას შეკერდებოდენ. არა მცირედი ადგილი ეჭირა აქ უწინდელ პოეზიასაც, რომელიც იყო გამომსატყველი ადამიანის არსებაში მუდამ დამკვიდრებულ ორ მოპირისპირე ძალთა ესიხიერი წინააღმდეგობისა და გულის თქმათა, სულის ღელვათა ბრძოლისა. მაგალითია „ბანდეგალი“ ილ. ჭავჭავაძისა, რომლის აზრი და შინაარსი პატიეცემულ ავტორს არ ეგუთვნის, წარმოგვიდგენს მარტოოდენ სუბუქს და უმნიშვნელო აზრდილს ადამიანის შინაგან ძალთა ასეთი ფსიხიური კონტრასტობისა და ბრძოლისას. აქ ვეკამაროთ ეს შენიშვნა ჯერ, ხოლო დაწერილებით ამ საკვანს ჩვენ თავის დროზე განვიხილავთ“.

*) იხ. „შინ. საქმ.“ № 10.

ავტორს უნდოდა ეჩვენებინა ბრძოლა სულისა ხორცთან, ეჩვენებინა ორ-ოფი თვისება ადამიანის ბუნებისა, ეჩვენებინა ის გარემოება, თუ რა ნაირათ საშინლათ სწეწენ იქთ აქეთ და ათამაშებენ სხვა და სხვა, ერთმანეთის წინააღმდეგი გულის თქმანი საწყალობელ კაცს. მაგრამ „ბანდეგალში“ თითქმის არც კი ჩანს ეს ბრძოლა. თქვენ თვალწინ არი საწყალობელი ბერი, რომელიც სრულიად დაუმორჩილებია სიეკარულის გულის თქმას. პოეტს დახატული აქვს მხოლოდ ის მომენტი, როდესაც ლამაზი ქალის სიტურფე სულერთიანად სძლევს ბერის ადთქმას. მეორე მხარე ამ ბრძოლისა, ესე იგი, როდესაც პირველმა ადელვებამ გაიარა, როდესაც ბერი ლოტეებით შეინანებდა თვის მომაკვდინებელს ცოდვას, როდესაც სულის საღმიდესრულიად დასძლეულა ხორციელ გულის თქმათა, სულ ერთიანად გამოტოვებულია...

პოემა „ბანდეგალიში“ არა ჩანს, რომ ბერს ოდესმე ბრძოლით დაეძლიოს თვისი გულის თქმა და ამაღლებულიყო ამ ძლევით. ბრძოლა შეიძლება მხოლოდ იმ გვარ გულის თქმათა შორის, რომელნიც ძალით ერთმანეთს უდრიან. თუ ერთი გულის თქმა ადვილად იმორჩილებს და დასთურგვნის მეორეს, მაშინ ბრძოლა აქ აღარ არის. შანაგანი ბრძოლა ეოველ ადამიანში მოხდება ხოლმე და ამგვარ ბრძოლის გამოხატვამ დიდად უნდა იმოქმედოს ადამიანზე. და „ბანდეგალი“ კი, უნდა მართალი მოგახსენოთ, ჩემზე ვერ მოქმედობს ძლიერ, რადგან ვერ ვხედავ იქ ვერაკითარ ბრძოლას. და ამ გარემოებას, რომ ბევრია გატეცებული ამ თხზულებით, სხვანი ვერაფერს ვერ მიგაწერ, თუ არ ილღიუზიას: კაცი თუ წინ და წინვე ღრმად დარწმუნებულია რომელიმე თხზულების სიდიადეზე, მაშინ იმაზე ძლიერ მოქმედობს ეს თხზულება.—მეითხვეთ ადვილად შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს ილია ჭავჭავაძის ლექსთა რიტორულმა სიდიადემ, რომელიც შეიძლება ნამდვილ სიდიდეთ ჩასთვალოს მან, ვინც განუვითარებელია ესტეტიურად...

მართლაც, ჩვენი პოეტი რიტორიკის საშუალებით ცდილობს მიაღწიოს ხელოვნურ სასრულეს. აღწერს თუ არა ქალის სიტურფეს, ბუნების შეკოურებას, სიდიადეს, თუ ადამიანის მოქმედებას, პოეტი სმარობს უველგან მხოლოდ და მარტო რა-

ტორულ, დად-დად, გაბერილ ფრაზებს, მაღალს ენოს.

აგილ.ოთ, მაგალითად, ამ პოემიდან ქალის სიალამაზის აღწერა და გავშინგოთ.

„თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს
სორც-სხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად,
უკეთეს სახეს ვერ ინატრებდა
ოკეის სიტოცხლის გამომსახველად.
მაშინაც ვინ სთქვას,—ვინ ვის აშვენებს,
მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა!...
ოვით შურა, მტრობა ვერ უშოვიდა
ქალს მშვენიერსა ვარსკვლავს ნაკლსა.
მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქ-ფენით
გულ-მკერდის რხევით ვინ არ აოცოლ-
დეს!...
დახე მის ტუჩთა!... თითქო თვით ტრფო-
ბას
თვის ნაზი ეოცნა ზედ დარჩენოდეს.
ვის არ მოიმხრობს, მოინადირებს
ეოველად ძლიერი მშვენიერება!...
ოქმულა—მხეციც კი გაუფორებული
მის წინ დატკბება და დაწუნარდება.
და დაუწუნარდა მალს შვენებისას
ეგი მწიერიცა მწურალი, გულ-მშრალი
და უცოდვილის გულის ტკივილით
ქალს შეჰხედა ტკვა—ქმნილი თვალი“...

როგორც ხედავს მკითხველი, აქ არ არის არც ერთი სიტყვა, დამახასიათებელი სიალამაზისა. სიტყვები: „მადლი“, „ტრფობა“, „სორც-სხმულად ვლენა“ ტრფობის მადლისა, მშვენიერება“... შეადგენენ მხოლოდ განყენებულ ცხებებს, რომელნიც ვერავერ სახეს, თუ სურათს ვერ წარმოგვიდგენენ, ვერავერს ვერ გამოხატვენ. გარდა ამისა, არც აქ იხმება სურათი: „მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქფენით“, „დახე მის ტუჩთა!... თითქო თვით ტრფობას თვის ნაზი ეოცნა ზედ დარჩენოდეს“.. ეს ისეთი სიტყვებია, რომელნიც ყოველ არა-პოეტს მოადგება ენაზე და არც გულს სცემენ, არც ეონებს.

რაკი სურათები არა აქვს, ილია ჭავჭავაძე ცდილობს შეავსოს თვისი ნაკლი მაღალი, გაბერილი ფრაზებით. მაგალითად: „თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს სორც-სხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად, უკეთეს სახეს ვერ ინატრებდა ოკეის სიტოცხლის გამომსახველად. მაშინაც ვინ სთქვას, ვინ ვის აშვენებს, მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა!“ ანა, გულწრფელად თქვით, მკითხველო, უმატებენ თუ არა რასმე ეს ფრაზები?!.

აგილოთ მეორე მაგალითიც, მაგრამ სხვა სფერიდან.

„სადაც დიდებულს მთასა მეინკარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან,
სად წვიმა—თოვლნი, ეინულად ქმნილნი,
მზისგან ეროდეს არა ჰდნებიან,
სად უდაბურსა მას მუდრობასს
კაცთ ურიამული ვერ შესწვდენია,
სად მუუფება ჭექა-ქუხილსა,
ეინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია,—...“

მკითხველი ადვილად დამეთანხმება, რომ დიდი წარმოდგენა (воображеніе) არ სჭირდება ადამიანს, რომ ზემოხსენებული მწერი სურათი დახატოს. პოეტმა გაცალა თვის სურათის ეოველგვ, რაც კი ფერს და სიტოცხლეს მიცემდა მას და რასაც კი წარმოდგენა დასჭირდებოდა. პოეტი ამბობს, რომ აქ, სადაც განდეგილი ცხოვრობდა, არავერი არ იყო, სიკეთილის მეტი, აქ სუფეკდა მხოლოდ საძარცასებური უდაბური მუდრობა და ქარი ჭექა ქუხილით. ასეთი შეზღუდვა ბუნების სურათისა სჭირო იყო შეზღუდული წარმოდგენისათვის. ეს სურათი სრულიადაც არ გამოიწვევს ადამიანის სულში გაკვირვებას, გულის ადტაცებას, სიამოენებას. ბარ-იქით გამოიწვევს მხოლოდ უსიამოენო გრძნობას ბუნების სისუფლისას. მალის გაკვირვებული ვარ, რომ ამ სურათის ადტაცებაში მოეკვეს ბევრი ჩვენი.

ვთავვებ ილია ჭავჭავაძის ლექსთა განხილვას. მე ვუჩვენე ამ ლექსების ღირსებაც და ნაკლულოვანებაც. სასიამოენო არც ჩემთვის იყო, ერთის მხრით, დიდად დამსახურებული პოეტის ლიტერატურული ნაკლულოვანების ჩვენება და საყვარად გამოტანა, რადგან, ეიტი, ამისათვის ბევრი ლანძღვა-გინება მომხვდება. მაგრამ, მეორე მხრით, მე ჩემი ვალდებულება შეკასრულე მათ, რომ ადვილად ის, რაც ჭეშმარიტებათ მიმაჩნდა, და აწ, ვისაც რა უნდა, ისა თქვას.

მეტად ღრმა ზნეობრივი აზრია ამ სიტყვებში:

Amicus Aristoteles, amicus Plato, sed magis amica Veritas.

ხომლელი.

„შინაურ საქმეებს“

სალამს ვამლევ, თაუვანსა ვსცემ
ჩვენ „შინაურ საქმეებსა“!
დე, მნათობად დასახოდეს
სწორის გზისკენ ჩვენსა ერსა!

მის გულსა ალი მოედვას
ღვთიური სიყვარულისა,
გზა ბრუნდი, გზა ეკლიანი
გაჭკაფოს დაჩაგრულისა!

გახდეს მკურნალი წულულისა,
დამშვიდებელი გულისა,
შემხორცებელი ქართველისთვის
ქრისტესა სიყვარულისა!

ვის ტკინს ნისლი გადაჭკროდეს,
ან გულს ეჭვი შეჭვაროდეს, —
სასოება ჩაჭსახოდეს,
ჯეშმარიტსა შეჭხაროდეს!

მამა-ბაბის მტკიცე რწმენა
განაახლოს ჩვენ გულშია,
რომ ქართველმა არ გასცვალოს
თვის სინდისი გროშ-ფულშია.

რომ სამშობლო შეგვიყვარდეს
და ძიგვაჩნდეს გულში დიდად,
დე, გაზეთი გახდომოდეს
უსუსურებს გზად და ხიდად!

იმერელი.

მედიატორების განჩინება

1909 წ. 8 მარტი.

ჩვენ მ. სანებლიძის და ი. ომორაშვილ ეურნალ „შმაკის“ მთარგმნელის კორესპონდენტიის ავტორ ბ. ი. „ბუჩიას“ მედიატორებმა სასელდობრ ფარნაოზ ჭეიშვილმა, ერასტი ციბაძემ, ანდრია სვანაძემ, კოლია ჩხეიძემ მამა ბესარიონ კახიას თვამჯდომარეობით, მოვისმინეთ რა ორთავ მხარეების დასასელებულ მოწმეების ჩვენებანი გადავსწყვიტეთ: მოიხადოს ბოდიში მამა რაჯდენ სანებლიძის წინაშე ბ. „ბუჩიამ“, „შმაკის“ მთარგმნელში მოთავსებულ კორესპონდენტიის ავტორმა, გაზეთის საშუალებით და მით აღადგინოს შეტოლმით მის მიერ მ. რაჯდენის გათელილი პირადენება.

რასა შინა ხელს ვაწერთ მედიატორთა თავმჯდომარე, მღვდ. ბესარიონ კახიაა და მედიატორები: 1) კოლია ნესტორის-ძე ჩხეიძე. 2) ანდრია ზაქარიას-ძე სვანაძე. 3) ფარნაოზ ჭეიშვილი. 4) მე ერასტო ციბაძე არ ვეთანხმები ამა განჩინებას სხვა და სხვა მიზეზების გამო.

აკაკი წერეთელი

როგორც მგოსანი მამულიშვილი.

(გაგრძელება*)

ასეთი იყვნენ ჩვენი გმირები ჭორშიცო.
ი რას ამბობს აკაკის თორნიკე ერისთავი ბაგრატ მეფის წინაშე:

მწარ-წარსულის მოგონებით
თქვენ წინ მთქმელი ვარ ამისა,
რომ მომსწრე ვარ საქართველოს
შავი დღის და ვარამისა...
ბევრს თქვენგანს ის არც კი ახსოვს,
იქნებოდით მაშინ ბალღი,
მაგრამ მე კი დღესაც გულზე
მაშინდელი მაზის დაღი!..
ცამან რისხვით მოგვიქუხა,
საქართველოს ადგა ბუნდი,
მონავრულათ გვესეოდა

*) იხ. „შინ. საქ.“ № 10

ყოველი მხრით მტრისა გუნდი!..
მოგვაწვენ და მოგვაზვრთდენ
ერთიანად ჩასანთქმელად ..
რაც რომ მაშინ პირი ვნახეთ,
ძნელი არის აწ სათქმელად!
ეს პატარა საქართველო
ჯარასავით დატრიალდა,
გადიწერა რა პირჯვარი,
გაფოლადდა და გასალდა!
მოხუცი თუ ახალგაზდა,
ერის კაცი, თუ სამღვდელო,
ყველა ერთმხრივ მიიწევდა,
ერთი ჰქონდათ ყველას ლელო!.
სადღა იყო განსხვავება?!
რის ბატონი?! ან რისი ყმა?!
ყველა ერთად შეკავშირდა,
ერთი ჰქონდათ მათ გულისთქმა:
რომ გულწრფელად მოეხადათ
ქართლის შვილებს მათი ვალი
და სიკვდილით გამოეხსნათ
ჩვენი ქვეყნის მომავალი!..
მამა-პაპის განთქმულ ფარ ხმალს
უმატებდა შვილი ფასსა
იმითი, რომ ლომ-კაცურად
შეებმოდა ერთი ასსა!..
„ჰკა მაგის“ ხმა ყოველის მხრივ
მოისმოდა მტრის საზარი
და იმ გრგვინვას ბანს აძლევდა
საორკეკოდ მთა და ბარი.
სისხლით მორწყეს ტყე და ველი:
შეიღება წითლად მდელო...
აღდგომის კვერცხს დაემსგავსა
პირ-ნახული საქართველო!..
განახევრდა ქართველობა,..
მაგრამ მეტ ერს—კი ჰსძლიეს მათ ლვთით
და თამამად დაიძახეს:
„საქართველო აღდგა მკვდრეთით!..“
და მართლაც რომ გამოიხსნეს
განწირული, სულთა მბრძოლი
და გადმოსცეს შვილის შვილთა
მარგალიტი, ვით ობოლი!..
მხედართ-მთავარ-უხუცესად
ყო მაშინ იოანნე,
შემდეგში რომ ბერით შედგა,
დღეს ულოცავს ბოს აქვს საკანე.
სინამ მტერი გარს გვეხვია,
მძვინვარებდა, ვითა ლომი,
გრლიათის შებმას ჰგავდა
ისი ბრძოლა, მისი ომი!
მტრისა ისრით გამხვრეტელი,
ხმალს ულეწდა, ფარს უპვდა;
ხშირათ მამა-პაპის სისხლზე
თავისასაც ზე ანთხევდა!..
ჯოჯოხეთის რისხვა იყო
მისი რისხვა, მისი ვნება!..
სანამდი კი მტერს ჰხედავა,
არ იცოდა მოსვენება.

ბოლოს მოხუცდა და მითხრა:
„თორნიკ, ჰა, შენ გქონდეს სარდლობა
და ჩემი ხმალი,
ვინძლო, ღირსათ შეასრულო
მომავალში შენი ვალი!“

და მე თუ როგორ შევასრულე ეს ანდერძი, შენ თვითონ გასაჯეო.

ახლა მოუსმინოთ მეორე გმირს მტრების ურდოში ტყვედ მყოფს:

—„ბევრჯერ შიმშილს და სიცივეს
ძაღლივით აულრენივარ,
მაგრამ იმავ დროს სხვა ძალას
მე ალმა აუფრენივარ...
და მითქვამს: „თუ უმსხვერპლოდა
ვერ გაიხარებს ქვეყანა,
ღმერთო, მიმიღე ზვარაკად,.
ყელში გამერჭო მე დანა...
და მით ასრულდეს ანდერძი,
გადმონაცემი ძველთაგან;
„იხსენ, უფალო, ჩემ გამო
ქვეყანა განსაცდელთაგან!“

აგერ ვახტანგ გორგასლანი ხმალს იკიდებს ხელს, „ბაყათარს“ მივარდება და შუაზე გააპობს, ოსებს „იალბუზს იქით“ მიერეკება, „ქვესკნელს კანონებს უპედავს‘, „სპარსეთს ლაგამს სდებს“, ინდოეთს „თაკზარს სცემს‘‘, „ანტიოქიას“ ეკკლესის თავისუფლებას სტაცებს ხელიდამ, ზეცას „ზარის რეკას“ უგდებს ყურს, „ძველებს ანდერძებს დიაცურად არ სტეხს“, „მტერს ან მოჰკლავს, ან ბეაკვდება“ და „ვალის შესრულებით მეორე დგმას უ-ლვი-

ლებს ცხოვრებას". „ოთია და დათუნა" წუნკალ ალლიფოლადს გაჰკიდებიან და სიცოცხლე მოუსპიათ", „გოგია მოხუცს სასხლავი უკავია ხელში'', ქვეყანას სწმენდს და შვილებს ,,ქუდს ხურავს თავზე'', ქართველი მეომრები დროშას მოაფრიალებენ და მტრის დაჭრილი ყურებით სავსე ზანდუკი მოაქვთ ტრიუმფად...

აკაკის ნოინი გაოცებულია ქართველების ხასიათით:

,,არავის ებრძვის პირ-იქით,
დამხთურად მეომარია!..
ვინც მის ქვეყანას ao ერჩის,
მოძმე და მეგობარია.
არსად გაუდის მოყვრობა
და არც მტერები აკლია;
მაგრამ ხომ მაინც პირწმინდად
ჯერეც ვერავინ დასძლია?!
რა გამოვიდა, რომ ვსძლიეთ!
განა ძლევაა ეს ძლევა?!..
რაც უფრო ჭირში ვარდება,
მით სიმხნეც მეტი ეძლევა.
...არას ითხოვენ!.. ზვიადად,
ამაყად იტანჯებიან!..
რაღაც მომავლის იმედით
და სასოებით კვდებიან."

—

შაკაბედი საქართველოს
(გვეუბნება აკაკი სხვა ადგილზე)
ძველადგანვე უღლად აწვა,
ბევრი ნახა ათხრება,
დაქცევა და ცეცხლით დაწვა,
მაგრამ მაინც, უცნაურად,
არ ჰქრებოდა... არ კვდებოდა:
იმ ფერფლიდამ ისევ წმინდად
ის ორბივით ახლდებოდა.

—

მსოფლიო ცხოვრებაშიაც
ქართველსაც უძევს კვალიო:
შიგნივ—ოფლი და გუთანი,
გარეთ—სისხლი და ხმალიო!
დედა ენა და ერობა
ქრისტეს სჯულს უკავშირაო,
მათს დასაცველად ოთკუთხივ
ომები გააშირაო!

და მართლაც არწივ-ლომობდა
ქართველი მაშინდელიო!..
დედაც სხვა იყო იმ დროში,
სხვა გვარი შვილის მზრდელიო!.
მათი ნანინაც სხვა იყო,
არ ჰგავდა ახლანდელსაო,
მონურსა გასაკიცხავსა,
სიყრმითვე გასახრწნელსაო.

—

ამიტომ აკაკი როცა ხატის წინ ანთებულს სანთელს ჰხედავს, გვეუბნება:

—რაღაც უცნაურს ერთობას
ვხედავ სანთელს და ჩემს შუა!
სანთელი ჩემი ხორცია,
სიცოცხლე—მოკლე პატრუქი,
ნათელი—ჭკუა—გონება,
იმათგან გამონაშუქი.
ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე ჩემი ქვეყანა,
და რომ ვიწვოდე, ვკვდებოდე,
არ შემიძლია მეც განა?

და მართლაც ხომ ,,იწვის'' და ,,კვდება'' იგი ამ თავისი ხატისათვის ეს 50 წელიწადია!! დიაღ ის ამ ,,ხატით სულდგმულობს, სასოებს და უიმისოდ მისთვის სიცოცხე რაღაც ფიქციაა, არარაობაა, ცალიერი სიტყვაა! აკაკი და მისი ხატი სამშობლო ერთს არსებას წარმოადგენენ; აკაკი—საქართველოა და საქართველო—აკაკი. მათი ცალ-ცალკე წარმოდგენა შეუძლებელია.

მეოთხე ლექცია.

ძველი საქართველო, როგორც ვსთქვით, სათაყვანო შუქ მფინრია, მაგრამ ახლა რაღა ეართო, ჰკითხულობს აკაკი?! ახლანდელი ,,მონური, გასაკიცხავი, სიყრმითვე გასარყვნელი ნანინა'' რომ აღარ ჰგავს ძველი დედების ნანინასო?! და აი აქ იმსხვრევა აკაკის იმედით სავსე, მხიარული ჩანგი და ჯადოსნურად იცვლება მგოსნის გულში მოლიტინე და მკბენარ მატლად., მჩხავანა ყვავად! თუ პირველი ჩანგი დახაროდა და დამღეროდა მხიარულ ჰანგებს ბედნიერ საქართველოს, სამაგიეროდ ეს მეორე ჩანგი დაჰკვნესის და დასჩხავის ეხლანდელს უბედურს საქართველოს!

—მისთვის ველარ ვმღერ,
როგორც ბულბული,
რომ გულში ვარდი აღარ მიყვავა.
მის ნაცვლად ეკლით ამევსო გული
და ზედ ჩორანი შავი დამჩხავა!
მეხსიერება დროსა წარსულსა
უსუსტრად, მტრულად, მარად მაგონებს,
მით მომავალი მიშფოთებს სულსა,
წარსული გულს მწყვეტს, აწმყო მაღონებს.

—

სადღა არიან იოანნე—თორნიკეები, ოთია—დათუნები, ცოტნე—ვახტანგები, თამარ—ნათლები?! აი რას ეუბნება მგოსანს ახლანდელი ,,სიყრმითვე გარყვნილი'' გმირი:

—როდესაც ჩემ წინ სუფრაზე
ცხელი, შუშხუნა მწვადია,
მაშინ მე სამშობლოსათვის—
ყოველი კარგი მწადია!
როცა გადავჭრავ ნუნუას
თას—ყანწით, გინდა კულითა,
მაშინ მეც ზეცას გავდრებ
ამ ჩემს სამშობლოს გულითა.
მაგრამ ესენი სუყველა
თუ აღარ მექნა ხელათა,
წიხლსა ვკრავ შინაურობას
და გავიჭრები ველათა.
და შენს ქართულს და საქართველოს
ფეხებზე დავიკიდებო!

აი ასეთი მამულიშვილების შემხედვარეს, მგოსანს თვალ და თვალ უტყდება გული და ემჩნევა უნუგეშობა.

—აღარ გვაქვს გრძნობა,
დავჭკარგეთ გონი,
გაგვიქრა სული მამა-პაპური!
ჩინი შეგვექნა ჭკუის საწონად
და ძმობის ნაცვლად ბოროტი, შური!
ადგილი იგი, სადც ჩვენ წინაპარს
სისხლი უღვრია თავ-განწირულსა,
შვილთ გვეზიზღება, დღეს აღარ გვიყვარს
და ვერ გვიხურავს გაყინულს გულსა!..

ამის ნაცვლად ერთმანეთს ჭკლავენ ლალატით და პირში კი ფარისევლურათ უცინიან ერთი მეორეს ძმებიო! პოეტი ველარ იტანს თავს:

—ფარისეველო! გაუტანელო!
სხვასთან თავმხრელო, შინ ორმოს მთხრელო,
ნაგავის მყრელო, შენ ჭრელო გველო!
რამ შეგაძულა, სთქვი საქართველო?!

და ბოლოს მოჰყვება წყევლას და რისხვას:

ნურვინ ისხამს სხვისა ქურქსა
და ნუ სცვლის თავის ენასა,
თორემ ბოლოს დროს მოიმკის
უსუსტარ ცრემლთა დენასა!

მგოსნის სიტვა და მუქარა კანონიერია:

—მამის სული გაუშვიათ,
პაპისას-კი იგონებენ;
დედას დედინაცვალზედ,
სცვლიან და თავს იწონებენ!
ნუ თუ შინ ვერ მოუნახავსთ
ვერც ცოცხალი, ვერცა მკვდარი,
ღირსი მათის ყურადღების
სახსოვი და საქებარი?

ეკითხება მგოსანი ყველას და პასუხი არაა! სადღაა ან ძველი ქალებიო?

დრო წავიდა, სხვა მოვიდა,
დღე დაწვა და ღამე შობა...
ზრასტის ვეტყვი ჩვენს ქალებსა,
აღარ ესმისთ გამარჯობა!
უწინ მარიამი ერქვათ, ახლა მაშინკათ
გადაუკეთებიათო! მათს საქციელს რომ ძველმა ქალებმა შეხედონ, სირცხვილით დაიწვებიანო!

—სძულს წარსული, აწმყოს ეტრფის,
მომავალში მისთვის ბნელია;
იმდენს ჰგრძნობს და იმდენს ჰფიქრობს,
რამოდენსაც ბუზ—პეპელა!...

მგოსანს ბოლმა აწვება მამულიშვილების ასე დაცემით და ვერ წარმოუდგენია, თუ რამ გადააგვარა და გაანადგურა იგინი.

მიტომ ასე ამკობს მათ!

—ეჰ, ქართველო, აბა მითხარ, ვინა ხარ?
მოწინავეს ჩამორჩი, უკანაზე წინა ხარ,
უკეთო კაცად არ ვარგხარ, აღარც არა შინა ხარ,
ორთა შუა აგდიხარ, სანაგველას ფინა ხარ!

პირში მთქმელი არ გიყვარს,
მართლისთვის ილანძღები,
თუ გშია, პატრიოტობ, შენ მოძმესაც უწ-
ყრები;
მაგრამ მაშინ—კი სხვა ხარ, როდესაც გა-
მოძღები,
თავი ქონით გაქვს სავსე და ტვინით კი
ფეხები!

—

ისეთს გზას დასდგომიხართ, რომ უფ-
სკრულისკენ მიყავხართ და რამ დაგაბრმავათ
ისე, რომ ვერ ხედავთ საფრხესო! რათ ღორ-
დებით თვალმაქცობით და საბავშო სატყუა-
რებითო!

—ჩიტო, ჩიტუნიებო! შინ ღომის წუ-
ნიებო,
სხვის სახლში შაქრის ჭამით, არ გახდეთ
უგუნებო!
ნუ გსურთ სხვისი ალერსი, პატივი უკე-
თესი!..
ეგ სულ ვაჭრული არის ანგარიში და
წესი,
—თორემ პირადობითა, საკუთარ მინ-
დობითა,
არავინ არ გაგიტანსთ, არც ძმობით, არც
დობითა!
თავზედ რომ ვარდს გადებენ, ქვეშ ეკ-
ალს გიმზადებენ;
სულ ტყუიან, იცოდეთ, რასაც რომ გი-
ქადებენ...

მაგრამ „ჩიტებს“ მოწამლული შაქარი გა-
ტკბობიათ, განსაცდელზე აღარ ფიქრობენ,
დაღუპვის გზას ადგიან და რაღა ანუგეშებს სა-
მშობლოს პირისუფალს მგოსანს?! მკითხველო,
ერთს წუთს წარმოიდგინეთ ის თავდადებული
დედა, რომლის ერთად ერთი ნუგეში—შვი-
ლი უფსკრულისკენ მირბის, ჰეპელას მისდევს
და ის-ის არის უნდა თავყირა გადაეშვას უფ-
სკრულში! დედა თმა გაწეწილი კივილ-წი-
ვილით მისდევს და თან მეტის შიშით მუხ-
ლებიც ეკვეცება. ასეთს დედას მოგვაგონებს
ამ ლექსებში აკაკი. ის „წიოქებს“, „თვალ-
თაგან ნაღვლიან მდულარებას ანთხევს“, „ქვე-
ყნის ჭიოით დაიტვირთა“, „ცა პირს პირზე
ათოვს“ მას, უკან მისდევს თმა გაწეწილი თა-
ვის გაუკულმართებულს სამშობლოს ვედრებით,
მუქარით, რჩევით, გაფრთხილებით, დედის ყო-
ველი სეშუალებებით, მაგრამ ურწმუნო შვილს
აღარ ესმის მისი და ესაა რომ ამწარებს მას
ქანცს ულევს! გაგონებას ვინღა ჩივა, კეთი-
ლისათვის ბოროტათ არ უმასპინძლდებოდეს!
მგოსანიც ბედს ემდურის და მამულსაც მწარე
საყვედურებით ავსებს:

—ჰეი, სამშობლოვ, სხვებისთვის დე-
დავ,
ჩემთვის-კი ავო დედინაცვალო,
—ვიცი, დაიბან პილატებრ ხელსა
და იტყვი, რომ ხარ შენ დღეს უბრალო
ჩემს ტანჯვაში და ჩემს განსაცდელში.
მაგრამ მსურს გითხრა მე საყვედური
ბოლოდ მისთვის, რომ უნდა გათავდეს
ჩემი შენდამო აწ სამსახური.
სული და გული, ბუნების ნიჭი,
სიჭაბუკე და წამი ყოველი
შენ შემოგწირე და რა მივიღე
სამაგიერო მე სასყიდელი?

—უსამართლობა, მტრობა და დე-
ვნა,
ცილის წამება გულის საკლავი
და საუკუნო განსასვენებლად
მოსწრაფებული შავი საფლავი!

მღვდელი მ. კელენჯერიძე.

(შემდეგი იქნება)

წესდება

იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელ ძმობისა წმიდისა მთავარმოწამისა ძლევაშემოსილისა და საკვირველ მოქმედისა გიორგისა.

მიზანი ძმობისა

§ 1) ძმობას აქვს მიზნად შეიტანოს მკვიდრთა შორის ზნეობრივ-სარწმუნოებრივი განათლება, როგორიც შეეფერება მართლმადიდებელ

ეკლესიას და ამისთვის ხმარობს შემდეგს საშუალებებს: ა) სცემს, და ავრცელებს ზნეობრივ-სარწმუნოებრივ შინაარსის წიგნებს, წიგნაკებს და ფურცლებს, როგორც ორიგინალურს, სამშობლო ეკლესიის ძველ და ახალ ღვთის მეტყველთა ნაწარმოებს, ისე ნათარგმნსაც, ბ) მართავს თავის წევრების დახმარებით სახალხო კითხვებს და ღვთის მსახურების გარეშე მოძღვრებას, ან ყოველ გვარ დახმარებას უწევს სოფლის საღვდელოებას ასეთი კითხვების და მოძღვრების მართვაში. გ) ხსნის შესაფერ ადგილებზე წიგნების საწყობებს და სახალხო სამკითხველოებს. დ) იღებს ნოტებზე ძველ ქართულ საეკლესიო კილოებს და სცდილობს აღადგინოს და გაავრცელოს წმინდა ქართული საეკლესიო გალობა; ე) ბეჭდავს საეკლესიო წიგნებს მთლად ან ნაწილ-ნაწილად, რომლისათვის ღებულობს ნებართვას ადგილობრივ მღვდელ-მთავრისაგან, ან ვისგანაც დამოკიდებული იქნება; ზ) აწყობს და მართავს სარწმუნოებრივ მოგზაურობას კავკასიის სხვა და სხვა წმიდა ადგილებზე და საზოგადოდ თავის დასახულ მიზნის მისაღწევად სარგებლობს ყოველგვარ საშუალებით, რომელიც კანონით ნებადართულია.

§ 2) ძმობას აქვს თავის წიგნთსაცავი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, სტამბა და დრო გამოშვებითი გამოცემა.

§ 3) წიგნაკები, ფურცლები და სხვა გამოცემები ძმობისა ან უფასოთ დაურიგდება ხალხს, ან გასასყიდლად გამგეობის შეხედულებით.

II ძმობის შემადგენელი პირები.

§ 4) ძმობა შესდგება ორივე სქესის პირთა განუსაზღვრელ რიცხვისაგან.

შენიშვნა. ძმობის წევრობა არ შეუძლიათ ხალდათებს და იუნკრებს, ღარსება ახდილებს და მოწაფეებს.

§ 5) წევრები განიყოფებიან: საპატიოდ, ნამდვილ წევრებად და დამხმარე წევრებად.

§ 6) საპატიო წევრებად ითვლებიან ის პირნი, რომელთაც დიდი ნივთიერი დახმარება ან არსებითი სამსახური გაუწიეს ძმობას და არჩეულ იქმნენ ამ წოდებაში საზოგადო კრებისაგან.

§ 7) ძმობის ნამდვილ წევრებად ითვლებიან რომლითაც წელიწადში სამი მანეთი შემოაქვთ ან 60 მანეთი შემოიტანეს ერთ დროებით ძმობის სასარგებლოდ.

§ 8) დამხმარე წევრები არიან ისინი, რომელთაც ძმობის სასარგებლოდ შემოაქვთ წელიწადში 10 შაური.

§ 9) იმ წევრებს, რომლებმაც ახლო საზოგადო კრებამდის საწევრო ფული არ შემოიტანეს, ნება არ აქვთ ამ კრების დაესწრონ; ხოლო რომელთაც ეს გადასახადი ერთი წლის განმავლობაში არ შემოიტანეს არ ითვლებიან ძმობის წევრებად, გარნა უფლება აქვთ ხელ ახლა იქმნენ აღრჩეულნი.

§ 10) წევრი, რომლის მოქმედება არღვევს ძმობის ინტერესებს შეიძლება გამოირიცხოს ძმობიდგან საზოგადო კრების დადგენილებით.

III ძმობის საშვალებანი.

§ 11) ძმობის საშუალებას შეადგენენ: ა) საწევრო გადასახადი, ბ) ფულისა და ქონების შემოსავალი, გ) შემოწირულებანი ძმობის წევრებისა, გარეშე პირებისა და დაწესებულებებისა სხვა და სხვა უძრავ და მოძრავ ქონებით, რა სახითაც უნდა იყოს; ჩუქებით, ანდერძით და სხვა კანონიერი საშვალებით და დ) შემოსავალი ლიტერატურულ კითხვების, სასულიერო კონცერტების და სხვა...

§ 12. რაც ძმობას ფული შემოუდის თავის დანიშნულებით განიყოფება შეუხებელ თანხად, სათადარიგოდ და მოძრავად (სახარჯოდ).

§ 13) ხელშეუხებელი თანხა შესდგება იმ ფულისაგან, რომელიც შემოწირულია ამ (ხელშეუხებლობის) პირობით და მოძრავ თანხის გადანარჩენ ფულის ნაწილის გადადებით ამ ნაწილის რაოდენობას საზღვრავს საზოგადო კრება; იგივე საზოგადო კრება საზღვრავს სათადარიგო თანხის შედგენისა და ხარჯვის წეს-რიგს.

§ 14. შემოსავლისა დაგვარად ძმობის თან-

ხა ინახება სახელმწიფო მომგებიან ქაღალდებით, რომლებიც ინახებიან სახელმწიფო ხაზინაში ან სახელმწიფო ბანკებში; იქვე ინახება მიმდინარე ანგარიშზე (текущій счетъ). სახარჯო თანხა ძმობისა, რომელიც შეიძლება შენახულ იქმნეს კასსის წიგნაკითაც. ხაზინადარის ხელში შეიძლება დარჩეს ცოტაოდენი ფული, რომელიც საჭიროა სახელდახელო სახარჯოთ. ამის რაოდენობას საზღვრავს საზოგადო კრება. ძმობის უძრავი ქონება იმყოფება ძმობის გამგეობის განკარგულებაში, რომელიც მართავს მას საგანგებოდ აღრჩეულ პირთაგან თანახმად გამგეობის ინსტრუქციისა რომელსაც ამტკიცებს საზოგადო კრება.

IV ძმობის საქმეების მართვა-გამგეობა.

§ 15) ძმობის საქმეების მართვა-გამგეობა ევალება: ა) გამგეობას და ბ) საზოგადო კრებებს.

ა) გ ა მ გ ე ო ბ ა.

§ 16) გამგეობა შესდგება ხუთი პირისაგან, რომელსაც ირჩევს საზოგადო კრება ძმობის წევრთაგან ორი წლით. აღნიშნულ გამგეობის წევრების რიცხვთაგან ყოველ წლივ გამოდის ორი წევრი ჯერ წილის ყრით და შემდეგ ვადის გათავების მიხედვით. გამოსული წევრები, შეიძლება ხელ-ახლა იქმნენ აღრჩეულნი საზოგადო კრებისაგან. გამგეობა იმყოფება ქ. ქუთაისში.

§ 17. იმ შემთხვევისთვის, როცა გამგეობის წევრი იძულებულია დიდი ხნით სხვაგან წავიდეს ან გამგეობაში სამსახურს თავი დაანებოს ვადის გასვლამდის, საზოგადო კრება ირჩევს იმავე ვადით 2 კანდიდატს. კანდიდატი, რომელიც შედის გამგეობაში, რჩება იქ იმ ვადის განმავლობაში, რომელიც უნდა გაეტარებია აღრჩეულ წევრს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. გამგეობის წევრი, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში გამგეობის კრებებს არ დასწრებია, გადამდგარად ითვლება.

§ 18. გამგეობის წევრები ირჩევენ თავიანთ შორის ყოველ წლივ თავმჯდომარეს, მის ამხანაგს, ხაზინადარს და სეკრეტარს. ორი უკანასკნელი თანამდებობა, შეიძლება, ერთ და იმავე პირს დაეკავოს, საზოგადო კრების დადგენილებით ყოველ შემთხვევაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ძმობის გამგეობაში ორი წევრი ყოველთვის სამღვდელო პირთაგანია

§ 19) გამგეობის წევრების სამსახური უსასყიდლოა. საჭირო საკანცელარიო ხარჯებს საზღვრავს საზოგადო კრება თანახმად გამგეობის წარდგინებისა.

§ 20) გამგეობას ევალება: ა) განაწილება საქმისა გამგეობის წევრთა შორის, ბ) მზრუნველობა ძმობის საშვალების გადიდებისთვის და მიზნის შესრულებისთვის, გ) გამგეობა ძმობის ქონებისა და თანხისა, დ) ძმობის დაწესებულებათა გამგეობა და ინსტრუქციის მიცემა მოსამსახურე პირთათვის, აგრეთვე შინაგან წესრიგის დაცვა, ე) დანიშვნა და დათხოვნა ძმობის დაწესებულებებში მოსამსახურე პირთა, ვ) თვალყურის დევნება, რომ მოსამსახურეებმა წესიერად შეასრულონ თავის მოვალეობა, ზ) რაც შეიძლება ხშირი შემოწმება ძმობის ფულის და ქონებისა, ᲗᲘ) წევრების სიების წარმოება, თ) მზრუნველობა, რომ წევრებმა თავის დროზე შემოიტანონ საწევრო გადასახადი და გამორიცხვა სიიდგან იმ პირთა, რომელთა საწევრო გადასახადი არ შემოიტანეს, ი) ანგარიშის და საქმის წარმოების მოწესრიგება, კ) ზრუნვა, რომ წესდება სრულდებოდეს, ლ) სხვა და სხვა პირთა და დაწესებულებებთან მიწერ-მოწერა ძმობის სახელით, მ) საზოგადო კრების მოწვევა, ნ) შედგენა და წარდგინება დასამტკიცებლად საზოგადო კრებაში წლიური ანგარიშისა და ხარჯთ აღრიცხვისა, ᲐᲘ) საზოგადო კრებების დადგენილების სისრულეში მოყვანა, ო) განხილვა კერძო განცხადებათა, პ) საზოგადო კრებაზე წარდგენა იმ საკითხებისა, რომლებიც ვერ გადასწყვიტა გამგეობამ ან აღემატებოდენ მის უფლებას, ᲠᲘ) წინასწარ შემუშავება ყველა საქმეებისა, რომლებიც უნდა წარედგინოს საზოგადო კრებას, რ) აღრჩევა თხზულებებისა გამოსაცემად, ს) წიგნების დაფასება, ტ) განხილვა და შემოწმე-

ბა რეფერატებისა და თხზულებებისა ხალხში გასავრცელებლად, უ) ამორჩევა ადგილებისა საბალხო კითხვებისა და სამკითხველოებისათვის, ფ) განსაზღვრა და გაღება სასყიდლისა ხალხის საკითხავ წიგნაკთა შედგენისათვის, ქ) წმ. ადგილებზე მოგზაურობის მოწესრიგება და სხ. ძმობის მიზნის შესაფერი მოქმედება. (იხ. § 1).

შენიშვნა. გამგეობისგან გამოცემულ ინსტრუქციები და სხვები უნდა დამტკიცებულ იქმნეს საზოგადო კრებისაგან.

§ 21) გამგეობას უფლება აქვს მოიწვიოს ხოლმე თავის სხდომებზე გარეშე პირებიც, რომელთა მონაწილეობა სასარგებლოდ იქნება ცნობილი; ესენი სარგებლობენ რჩევითი ხმით იმ საკითხის შესახებ, რომელზედაც მოწვეული არიან

§ 22) ძმობის წევრებს შეუძლიათ წერილობით ან სიტყვიერად განუცხადონ გამგეობას შესახებ ძმობის საქმეების საუკეთესოდ მოწყობისა. თუ გამგეობამ უარ ჰყო, წინადადების შემტან წევრს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ იგი (წინადადება) მოხსენდეს ახლო საზოგადო კრებას. ასეთი მოთხოვნილება წევრმა უნდა განაცხადოს არა უგვიანეს ერთი თვისა შემდეგ უარის გამოცხადებისა. გარეშე გამგეობისა არავითარი განცხადება არ მიიღება.

§ 23) თუ ძმობამ წიგნების საწყობი, ბიბლიოთეკა, ან სამკითხველოები გახსნა, ამათი მართვა-გამგეობა ევალება ერთ ერთ გამგეობის წევრის კანდიდატს *).

(გაგრძელება იქნება).

*) ეს წესდება დამტკიცებულია ყოველად სამღვდელო, იმერეთის ეპისკოპოს გიორგისაგან, ბ. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან შეთანხმებით.

რედაქტორი, მღვდელი **სიმონ ჯაჯანიძე**,
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**.

Типографія І. М. Хелашвили въ Кутаисѣ. Александровская ул., д. Гоніезова.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გამოვიდა და ისყიდება

პირველი სერია სამეურნეო წიგნებისა

აბრეშუმის მოკვლა

ნ. მკურნალისა.

ფასი 3 კ.

გამოვიდა და ისყიდება ავტორთან „შინაური საქმეების“ რედაქციაში

ახალი ქართული სახელმძღვანელო წიგნი მოკლე საეკლესიო ისტორია დეკ. ბ. სმირნოვისა, საქართველოს საეკლესიო ისტორიის შესანიშნავ მოვლენათა დამატებით. ფასი **60** კ., ვინც 10 ცალზე მეტს გაიწერს 10 პროც. დაეთმობა.

იქვე ისყიდება წიგნაკი „ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში“ კრიტიკული შენიშვნები ცნობილ ბებელის წიგნაკზე „ქრისტიანობა და სოციალიზმი“ ფასი **ოცი შაური.**

დაიბეჭდა და ისყიდება

ახალი წიგნი მღვ. მ. კელენჯერიძისა:

თეორია სიტყვიერებისა — მეორე დასრულებული გამოცემა. ფასი 40 კ. იყიდება ქართული ქრესტომატია—მისაკე I, II, III და IV კლასებში საკითხავი წიგნი.

აკითხეთ: ფოთში ავტორთან, ქუთაისში ი. კვიტერიძესთან და ვ. ბეკენეიშვილთან, თბილისში წარბაოთხვის საზოგადოებაში.